სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება
გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის აჭარისა და გურიის რეგიონული სამმართველო

DES 3 19 00032404

04/06/2019

www.factcheck.ge-ს რეგიონულ ანალიტიკოსს
ქალბატონ ნაზიბროლა რეხვიაშვილს
მის: ქ. ბათუმი წერეთლის ქ.6 ბინ.N45
E-mail: info@Factcheck.ge
editorrekhviashvili@gmail.com

თქვენი, 2019 წლის 21 მაისის წერილთან დაკავშირებით, რომლითაც ითხოვდით ინფორმაციას შპს „გუმბათი ბეტონი“-თან დაკავშირებით გაცნობებთ, შემდეგს:

შპს „გუმბათი ბეტონი" (ს/კ 245568700) 2016 წლის 21 ივლისამდე მოქმედებდა „კანცერი“-ის სახელწოდებით. სამართველოში არსებული ინფორმაციით შპს „გუმბათი ბეტონი"-ს სასაქონლო ბეტონის საწარმო ქ. ბათუმში, შანიძის პირველი ჩიხი, №11-ში ფუნქციონირებს 2015 წლის ოქტომბრიდან. საწარმოს 2015 წლის 13 ოქტომბერს აჭარის არ გარემოსა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოსთან შეთანხმებული აქვს ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების სტაციონარული წყაროებისა და მათ მიერ გაფრქვეული მავნე ნივთიერებათა ინვენტარიზაციის ტექნიკური ანგარიში.

გარემოსცდაცვითი ზედამხედველობის დაპარტამენტის აჭარისა და გურიის რეგიონული სამმართველოს მიერ 2017 წლის 30 მარტს შპს „გუმბათი ბეტონი"-ს მიმართ შედგენილია ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ ოქმი საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 82^1-ე მუხლის შესაბამისად.

2017 წლის 04 ივლის ჩატარდა საწარმოს მიზნობრივი ინსპექტირება, კერძოდ: თხევადი ბეტონის დამზადებისა და ბეტონმზიდში ჩატვირთვის პროცესში, ატმოსფერულ ჰაერში ხმაურის დონისა და მტვრის ნაწილაკების კონცენტრაციის განსაზღვრის მიზნით, ჩატარდა ექსპრეს-გაზომვები საწარმოს ტერიტორიის გარეთ, უახლოეს მოსახლესთან.

2017 წლის 11 აგვისტოს შპს „გუმბათი ბეტონი“-ს მიმართ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის აჭარისა და გურიის რეგიონული სამმართველოს მიერ შედგენილია

ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 78-ე მუხლის პირველი ნაწილითა და 84-ე მუხლის მე-4 ნაწილით.
ასვე, წარმოგიდგენთ ინფორმაციას სამმართველოს მიერ 2016-2019 წლის განმავლობაში, ქ. ბათუმში განთავსებული საწარმოთა ინსპექტირების შესახებ.

დანართი: 10 ფურცელი და 1 Exce ფაილი.

პატივისცემით,

გარემოს დაცვის და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
/ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი
/ აჭარისა და გურიის რეგიონული სამმართველო /
გარემოსდაცვითი ინსპექტირების განყოფილების
მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი/
სამმართველოს უფროსის დროებითი ფუნქციების
შემსრულებელი დავითაძე ნატო